К 8117
1

ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

მ. ᲙᲝᲙᲝᲩᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲤᲠᲐᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
1956

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ
ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ

618Д.470
J 67

პროფ. მ. ი. კოკოჩაშვილი

ბავშვთა ფრავმატიზმი
და
მასთან ბრძოლა

1118

საქართველოს სსრ
სამედიცინო გამომცემლობა
თბილისი
1956

1957

რედაქტორი ვ. მალრაძე

გამომცემლობის რედაქტორი **გ. ქველაძე**

ტექრედაქტორი **ვ. ხუციშვილი**

***

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XII-56 წ. ანაწყობის ზომა 5,5×9. ქაღალდის ზომა 84×108/32. ნაბეჭდი თაბახი 1,43. ქაღალდის თაბახი 0,43. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,2. საავტორო თაბახი 1,16

შეკვ. № 1129 ტირაჟი 3000 უე 07198

საქმედგამის სტამბა, თბილისი, მედქალაქი

ბავშვთა ტრავმატიზმი და მასთან ბრძოლა

ჩვენი ქვეყნის ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის დაცვის საქმე წარმოადგენს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობის საგანს.

საბჭოთა კავშირში უზრუნველყოფილია ბავშვთა უფასო სწავლება, უფასო საექიმო დახმარება და მუდმივი სამედიცინო მეთვალყურეობა.

პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციები, საბჭოთა ჯანდაცვის მუშაკები, პედაგოგები და მეცნიერები არ იშურებენ თავის ძალ-ღონესა და გამოცდილებას, რათა კიდევ უფრო გააუმჯობესონ ბავშვთა და მოზარდთა აღზრდისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმე.

სულ სხვა მდგომარეობაა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც ნაკლები ყურადღება ექცევა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვას: ფაბრიკა-ქარხნებში ბავშვები მძიმე ექსპლოატაციას განიცდიან. ასიათასობით ბავშვი მშიერ-მწყურვალია და იძულებულია იმათხოვროს. უამრავი ბავშვი იღუპება შიმშილისა და გადამდები სნეულებისაგან.

ბავშვთა დაავადებათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ტრავმატიზმს.

კაპიტალისტურ ქვეყნებში ბავშვთა ტრავმატიზმი წლიდან წლამდე მატულობს, მაგრამ მაინც არავითარი პროფილაქტიკური ღონისძიებები არ ტარდება ამის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ბავშვთა ტრავმატიზმის ზრდას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სიღატაკე და უმუშევრობა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 1947 წელს ბავშვთა ასაკში (5—14 წლამდე) სიკვდილობის 40% გამოწვეული იყო უბედური შემთხვევებისაგან.

საბჭოთა კავშირში მაღალ დონეზე დგას ორგანიზაციული, სპეციალიზირებული ტრავმატოლოგიური მომსახურება, ფართო მასშტაბებით ტარდება ბრძოლა ტრავმატიზმის, კერძოდ ბავშვთა ტრავმატიზმის, წინააღმდეგ .

ორგანიზმის დაზიანება, ანუ ტრავმა ბავშვთა ასაკში ხშირი მოვლენაა. გამომწვევი მიზეზების მიხედვით ვხვდებით ქუჩის, საყოფაცხოვრებო, სპორტულს, საწარმოო და ომის ტრავმატიზმს.

ომის ტრავმატიზმი, თავისთავად ცხადია, დაკავშირებულია ომის პირობებთან და მას, ჩვეულებრივ, მასობრივი ხასიათი აქვს.

სპორტული ტრავმის შემთხვევები გვხვდება ფიზკულტურისა და სპორტის რომელიმე სახეობაში ვარჯიშის ან შეჯიბრების დროს სათანადო წესების დარღვევის შედეგად.

საწარმოო ტრავმატიზმი მოზარდთა შორის ერთეულ შემთხვევებში გვხვდება სასწავლო-საწარმოო პროცესებთან დაკავშირებით. ამასთან, საბჭოთა კავშირში შრომის უსაფრთხოების ღონისძიებათა შედეგად საწარმოო ტრავმის შემთხვევები მინიმუმამდეა დაყვანილი.

განსაკუთრებულ ყურადღებას• იქცევს ბავშვთა შორის ტრავმული შემთხვევები, რომლებიც დაკავშირებულია ქუჩაში მოძრაობასთან და საყოფაცხოვრებო პირობებთან.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება დაშავების ისეთი შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია ქუჩაში ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის მიერ მოძრაობის წესების დარღვევის შედეგად.

საყოფაცხოვრებო ტრავმას ეკუთვნის დამწვრობა, ჩამოვარდნა შენობიდან, ხიდან, სიმაღლიდან, დაცემა და სხვა სახის დაზიანებანი.

ტრავმა, ე .ი. დაშავება არის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციის დარღვევა გარეგანი ფაქტორების ზემოქმედებით. გარეგანი ფაქტორების მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე მით უფრო ნაკლებია, რაც უფრო კარგად ერკვევა ადამიანი გარემოში. ადამიანი ჯერ კიდევ ბავშვობიდან იწყებს მის ირგვლივ არსებული გარემოს აღქმას და შემდეგ თანდათან ეჩვევა მოვლენებისა და საგნებისადმი კრიტიკულ დამო-

კიდებულებას. როდესაც ბავშვი მიილტვის ცეცხლისაკენ, ის ჯერ კიდევ შეუგნებლად აღიქვამს გარემოს. მაგრამ საკმარისია ერთხელ მაინც დაიწვას ცეცხლზე ხელი, რომ გარემოსთან ამ კონფლიქტის შედეგად მიეჩვიოს შემდეგში უფრო მორიდებულ მოქცევას.

ბავშვის ორგანიზმის ზრდასთან ერთად თანდათან ვითარდება მისი ცენტრალური ნერვული სისტემაც, რაც ხელს უწყობს გარემო პირობებთან უფრო კრიტიკულ და შეგნებულ დამოკიდებულებას.

ცხადია, ბავშვის აღზრდას და მოვლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს გარემოსადმი მისი შეგნებული დამოკიდებულების განვითარებისათვის. რაც უფრო მეტ ყურადღებას მიაქცევენ მშობლები და სკოლა ბავშვის აღზრდას, რაც უფრო სწორად წარმართავენ ისინი ამ რთულ პროცესს, მით უფრო მეტად განვითარდება ბავშვი და გამოიმუშავებს დაცვითს ჩვევებს.

ქუჩის ტრავმატიზმი

გავრცელებულია მოსაზრება—თითქოს ქუჩის ტრავმატიზმის, კერძოდ ბავშვთა ტრავმის, ძირითადი მიზეზი მექანიზირებული ტრანსპორტის მომატებაა. ასეთი ახსნა არამართებულია.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკისა და ევროპის დიდ ქალაქებში უკანასკნელ წლებში მოსახლეობა შემცირდა (ვინაიდან უმუშევრობის ზრდის გამო თავისუფალი მუშახელი იძულებული გახდა გასულიყო დიდი ქალაქებიდან), ქუჩის ტრანსპორტთან დაკავშირებული ტრავმის შემთხვევები წლიდან წლამდე მატულობს. მხოლოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში 4 წლის განმავლობაში (1930—1934 წწ). ავტომანქანისაგან დაშავდა და დაიჭრა 4 მილიონი ადამიანი, მოკვდა 125 ათასი. ექვს დიდ ომში, 105 წლის განმავლობაში (1812—1917 წწ.), ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 1000-მდე კაცი, ხოლო ავტოტრანსპორტით დაღუპულთა რიცხვი 15 წლის განმავლობაში (1917—1937 წწ.) 323 ათასს შეადგენდა.

სოციალისტური მრეწველობის განუხრელი განვითარების შედეგად ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულია უმუშევრობა.

სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ფართოდ დანერგვასთან დაკავშირებით დიდი რაოდენობით თავისუფლდება მუშახელი, რომელიც სოფლიდან დიდ ქალაქებში მიდის ფაბრიკა-ქარხნებში სამუშაოდ. სოფლიდან ჩამოსული მოქალაქეები პირველ ხანებში, ცხადია, არ არიან დაუფლებული დიდი ქალაქის ქუჩებში მოძრაობის წესებს და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ექნეს დაშავებას. ამასთან, საბჭოთა კავშირში ფართოდაა განვითარებული როგორც საავტომობილო, ისე სხვა სახის საქალაქო ტრანსპორტი. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ქუჩის ტრავმის შემთხვევათა რაოდენობა ომის შემდგომ წლებში საგრძნობლად შემცირდა ომამდელ პერიოდთან შედარებით.

კაპიტალისტური ევროპისა და ამერიკის ქალაქებში ბავშვთა მოსახლეობა გაყოფილია ორ არათანაბარ ჯგუფად. ქალაქის ცენტრში ცხოვრობს შეძლებული მოსახლეობა, მათი ბავშვები უზრუნველყოფილი არიან მრავალგვარი გართობით და მხოლოდ ძიძების, აღმზრდელების და გუვერნიორების თანხლებით თუ გავლენ ქუჩაში გასასეირნებლად. ცხადია, მათ შორის ქუჩის ტრავმის შემთხვევები ძალიან იშვიათია. ქალაქის გარეუბნებში კი ცხოვრობს ბავშვთა უმრავლესობა—მუშებისა და ნაკლებად შეძლებულთა შვილები. ისინი მოკლებული არიან კულტურულ გასართობებს, ორგანიზებულ დასვენებას და სხვ. მჭიდროდ დასახლებულ მუშათა უბნებში საცხოვრებელ სახლებს არ გააჩნია ეზოები და მოედნები, ამიტომ ბავშვები იძულებული არიან გასართობად უმთავრესად ქუჩა გამოიყენონ, რაც, ცხადია, ხელს უწყობს ბავშვთა ტრავმული დაზიანების შემთხვევების დიდ სიხშირეს.

ჩვენს ქვეყანაში დიდი ხანია მოსპობილია ბავშვთა ტრავმატიზმის სოციალური ფესვები. სულ უფრო ფართოდ ტარდება ღონისძიებანი ტრავმული დაზიანების შემთხვევათა მაქსიმალური შემცირების მიზნით.

ქალაქში ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის წესების თანდათანობით გაუმჯობესება, ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოსახლეობაში, განსაკუთრებით ბავშვთა შორის, ქმნის ყველა პირობას ქუჩის ტრავმატიზმის კიდევ უფრო შემცირებისათვის.

მაგალითად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ბავშვთა ქირურგიულ-ორთოპედიული კლინიკის მონაცემებით, ომის შემდგომ წლებში, მიუხედავად ქალაქის მოსახლეობისა და ტრანსპორტის საგრძნობი მატებისა, შემცირდა ბავშვთა შორის ქუჩის ტრავმის შემთხვევები. ამასთან, ასეთი შემცირება აღინიშნება არა მხოლოდ თბილისში, არამედ აგრეთვე მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ხარკოვში და საბჭოთა კავშირის სხვა დიდ ქალაქებში.

კლინიკის მასალებიდან ირკვევა, რომ შემთხვევათა დიდი უმეტესობა მოდის ვაჟებზე (70—82%), რაც აიხსნება მათი ქცევის ხასიათითა და თავისებურებით. ყველასათვის ცნობილია, რომ ვაჟები უფრო მოძრავი, მკვირცხლი და ცელქები არიან, ვიდრე გოგონები.

ბავშვთა ტრავმატიზმის შემთხვევების გარჩევისას ასაკობრივი მაჩვენებლების მიხედვით, აშკარად ჩანს განსხვავება ქუჩისა და ყოფაცხოვრებითი ხასიათის ტრავმის მაჩვენებელთა შორის. ქუჩის ტრავმის მეტი შემთხვევები გვხვდება სასკოლო ასაკში (6—8 წწ.), შედარებით ნაკლები—სკოლამდელ ასაკში (2—6 წწ.).

სასკოლო ასაკის მოსწავლეები სკოლიდან ჯგუფურად ბრუნდებიან შინ, არაიშვიათად ცელქობენ ქუჩაში, არ იცავენ მოძრაობის წესებს—გადადიან ქუჩაზე დიდი მოძრაობის ადგილებზე. ხშირად, თავისი „მამაცობის“ დასადასტურებლად მოძრაობის დროს ახტებიან ტრამვაის საფეხურებს, ეკიდებიან ტრანსპორტის ფანჯრებს, საბარგო მანქანების კიდეებს, ცდილობენ გაასწრონ მიმავალ ტრამვაის ან ავტომანქანას და გადაირბინონ ქუჩა, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებენ ამას და ტრანსპორტის ქვეშ მოყვებიან. ბავშვთა ქუჩის ტრავმატიზმის მხრივ ყველაზე სახიფათო ასაკია 9—10 წელი. ამ ასაკის ბავშვებს საკმარისად არა აქვთ განვითარებული თავისი ქცევის კონტროლისა და ანალიზის უნარი, ამასთან ერთად მათ აქვთ მისწრაფება მოგზაურობისა, კოლექტიური შეკრებისა, მოზრდილი ტოლ-ამხანაგებისადმი მიბაძვისა და სხვ.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი სინამდვილიდან.

9 წლის გია „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთის საყურებლად ამხანაგებთან ერთად გაემგზავრა ტრამვაის საფეხურზე

ჩამოკიდებული. კონტროლიორს რომ დამალოდა, მან რამდენიმე ტრამვაი შეიცვალა. უკან დაბრუნებისას (იმავე ხერხით) გია ჩამოვარდა საფეხურიდან და მიიღო საერთო დაჟეჟილობა, რის გამოც მოთავსებულ იქნა ბავშვთა ქირურგიულ კლინიკაში.

9—10 წლის ვაჟები ნიკო და ლადო ტრამვაის მისაბმელ ვაგონზე ჩამოკიდებული მიემგზავრებოდნენ ნავთლუღიდან საბურთალოსაკენ. როგორც შემდეგ გამოირკვა, მათ აინტერესებდათ საბურთალოს დათვალიერება, ლისის ტბა და ამიტომ (მშობლების დაუკითხავად) მოაწყეს ეს საკმაოდ შორი მგზავრობა. ტრამვაის ჩქარი სვლის დროს ერთ-ერთი მათგანი ჩამოვარდა და სერიოზულად დაშავდა.

გაცილებით უფრო იშვიათია ქუჩის ტრავმის შემთხვევები სკოლამდელ ასაკში (6—7 წწ.). ამ ასაკის ბავშვები იმყოფებიან მშობლებისა და უფროსების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. საბავშვო ბაღში სიარულისას ან სეირნობის დროს, როგორც წესი, მათ ყოველთვის თან ახლავს გამცილებელი. მცირეწლოვან ბავშვებს მშობლები დამოუკიდებლად სეირნობის ნებას არ აძლევენ, არ უშვებენ ქუჩაში სათამაშოდ და სხვ.

სკოლაში სიარულის დაწყებისას კი ბავშვი თანდათან იძენს დამოუკიდებლობის უფლებას, ზოგჯერ ეს ხდება ძალიან სწრაფად, თანდათანობით მომზადების გარეშე. ამიტომ ამ ასაკში უფრო ხშირია ზედმეტად თავისუფალი ქცევის შემთხვევები, რასაც ზოგჯერ ბავშვის ტრავმული დაშავება მოყვება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 14—16 წლის ასაკში ქუჩის ტრავმის შემთხვევები მცირდება, ეს იმით აიხსნება, რომ ამ ასაკის მოზარდები უფრო შეგნებული არიან, კრიტიკულად უდგებიან ქუჩაში უდისციპლინობას და იცავენ მოძრაობის წესებს.

ქუჩის ტრავმატიზმის მასალის შესწავლისას წლის დროების—თვეების მიხედვით აშკარავდება, რომ ტრავმის შემთხვევათა რიცხვი მცირდება ზამთრის თვეებში, რადგან ბავშვები ამ დროს ქუჩაში უფრო ნაკლებ დროს ატარებენ.

უბედური შემთხვევების ერთ-ერთი მიზეზი არის ტრამვაიზე და ავტომანქანაზე შეხტომა. ცხადია, რომ ეს ზამთარში უფრო ნაკლებადაა შესაძლებელი, რადგან სიცივეში ბავშვები ვერ ეკიდებიან ტრანსპორტის ფანჯრებს (ისინი დახურულია), ავტომანქანის კიდეებს (ხელები ეყინებათ) და სხვ.

თბილი ამინდის დაწყებასთან ერთად მატულობს ქუჩის ტრავმის შემთხვევებიც და იგი მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულისა და შემოდგომის თვეებში. დაზიანების შემთხვევათა მომატება შემოდგომაზე იმით აიხსნება, რომ ამ დროს იწყება ახალი სასწავლო წელი, მცირეწლოვან ბავშვთა ახალი კონტინგენტი მიდის სკოლაში, ამასთან, ასაკის მომატებასთან დაკავშირებით, მოსწავლეთა გარკვეული რაოდენობა დამოუკიდებლად, გამცილებლის გარეშე, იწყებს სიარულს ქუჩაში. ზაფხულის არდადეგების შემდეგ მოსწავლეებს დავიწყებული აქვთ ქუჩაში მოძრაობის წესები. გარდა ამისა, ისინი ცდილობენ აღადგინონ თავიანთი კავშირი აგარაკზე ყოფნის დროს დროებით დატოვებულ ქალაქთან, განაახლონ მისვლა-მოსვლა ამხანაგებთან, გამოიყენონ ცივი ამინდის დაწყებამდე დარჩენილი თბილი დღეები ქალაქის ბუნების, ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად, გასართობად.

ქუჩის ტრავმის შემთხვევათა შემცირება ზაფხულის თვეებში აიხსნება სკოლებში სწავლის შეწყვეტით და ბავშვების მასობრივი გასვლით სოფლად, დასასვენებელ სახლებში, აგარაკზე, პიონერთა ბანაკებში, სანატორიუმებში და სხვ.

ტრავმულ შემთხვევათა საერთო რაოდენობაში განსაკუთრებით ჭარბობს ისეთი შემთხვევები, რომელიც დაკავშირებულია ავტოტრანსპორტთან, შემდეგ—ტრამვაისთან და სხვა სახის ტრანსპორტთან.

შემოწმებით ირკვევა, რომ ავტოტრანსპორტთან დაკავშირებული უბედური შემთხვევები გამოწვეულია ბავშვების და ხშირად თვით მანქანების მძღოლთა მიერ ქუჩაში მოძრაობის წესების დარღვევით. ასეთი მიზეზებიდან შეიძლება დავასახელოთ არასაკმარისი ყურადღება შუქნიშანის ფერების მიმართ, ავტომანქანების მოძრაობა დაუშვებელი სისწრაფით, უყურადღებობა მილიციელის მიერ მიცემული ნიშნისადმი და სხვ. ტრამვაის მოძრაობასთან დაკავშირებული ტრავმის შემ-

თხვევებიც არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ ბავშვების მიერ წესების დარღვევით. ზოგიერთ შემთხვევაში ამ მხრივ ბრალი ედება ვაგონის მძღოლს ან კონდუქტორს. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ არ იცავენ ვაგონების სვლის სისწრაფეს, მოსახვევებში და ვაგონების დაძვრის დროს სიგნალიზაციის წესებს და სხვ. ზოგჯერ წამყვანი ვაგონის კონდუქტორი არ უცდის მისაბმელი ვაგონის კონდუქტორის სიგნალს, ან არ ამოწმებს მგზავრების ამოსვლას და ისე აძლევს ნიშანს ვაგონის გასამგზავრებლად, ანდა ზოგჯერ მძღოლი სწრაფად დაძრავს ვაგონს და ამ დროს შესაძლებელია ბავშვი, რომელიც ჯერ კიდევ კიბეზეა და არ ასულა ბაქანზე, მოულოდნელი მოძრაობისაგან ჩამოვარდეს და დაშავდეს.

ტრამვაით გამოწვეული დაშავების დროს გარკვეული მნიშვნელობა აქვს თვით ტრამვაის მოწყობილობას. უკანასკნელ წლებში ჩვენს ქალაქებში მუშაობს ახალი, შემომრგვალებული ფორმის ვაგონები, რომელთაც მარცხენა მხრიდან მოხსნილი აქვთ საფეხურები, მარჯვენა მხარეზე კი კარები იხურება პირველსავე საფეხურზე, თვლებს შორის სივრცე დაფარულია ფარებით და სხვ. ყოველივე ეს ზღუდავს ვაგონზე შეხტომის შესაძლებლობას, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად ამცირებს ტრავმულ შემთხვევებს.

ქუჩის ტრავმის შემთხვევებს ეკუთვნის აგრეთვე დაცემა, რასაც იწვევს უსუფთაო, ოღრო-ჩოღრო, ჩახერგილი, ხოლო განსაკუთრებით ზამთარში კი—მოყინული ქვაფენილი.

ყოფაცხოვრებითი ტრავმატიზმი

ყოფაცხოვრებითი ტრავმის შემთხვევებს მიეკუთვნება დაშავება საცხოვრებელი ბინის პირობებში, კერძოდ, დამწვრობა, ჩამოვარდნა კიბიდან, სახურავიდან, აივნიდან და სხვ.

ყოფაცხოვრებითი ტრავმატიზმი, ჩვენი მასალით, აღწევს საერთოდ ტრავმულ შემთხვევათა 70—75%. აქედან 70% მოდის ვაჟებზე. ყოფაცხოვრებითი ტრავმატიზმის შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია მცირე ასაკის ბავშვებში, 12 წლის ზევით ასაკში კი მნიშვნელოვნად მცირდება.

ბავშვის ზრდის თითოეულ პერიოდს თავისი თავისებურება ახასიათებს. ამიტომ სხვადასხვა ასაკში განსხვავებულია რო-

გორც ტრავმატიზმის ხასიათი და მისი გამომწვევი მიზეზები, ისე ტრავმის შემთხვევათა რაოდენობა.

ადრეულ პერიოდში ბავშვის ჯანმრთელობა, შეიძლება ითქვას, ძირითადად დამოკიდებულია იმ პირობებისაგან, რომელსაც უქმნიან მას მშობლები და სხვა მზრუნველები. შემდეგში, ასაკის მატებასთან ერთად, თანდათან მცირდება უფროსების ზედამხედველობა და კონტროლი. ამ დროს ფართოვდება ბავშვის კავშირი გარემოსთან. იგი ეუფლება ახალ მოქმედებებს, რომელთა ხასიათი თანდათან რთული და მრავალფეროვანი ხდება. ზრდა-განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ბავშვს უხდება ახალი საგნებისა და მოვლენების გაცნობა, მათთან პირველი კონტაქტი. გამოუცდელობის შედეგად კი „ახალთან“ პირველი შეხვედრა, განსაკუთრებით დამოუკიდებლად, ზედამხედველობის გარეშე, ზოგჯერ იწვევს ბავშვის დაშავებას.

ყოფაცხოვრებითი ხასიათის ტრავმის ერთ-ერთი მიზეზი ბავშვის არასწორი აღზრდაა. ბავშვის აღზრდა კი უაღრესად რთული, მრავალფეროვანი პროცესია. ამ საქმეს ძირითადად ოჯახი განაგებს. ბავშვის სწორ აღზრდაზე სკოლასთან ერთად პასუხისმგებლობა ძირითადად მშობლებს ეკისრებათ. ცნობილი საბჭოთა პედაგოგი ა. ს. მაკარენკო ამბობდა: „ჩვენი ბავშვები—ეს ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს მომავალი მოქალაქენი არიან.

მათ უნდა შექმნან ისტორია... ჩვენი ბავშვები უნდა გაიზარდონ კარგ მოქალაქეებად, იყვნენ კარგი მამები და დედები... ჩვენი ბავშვები—ეს ჩვენი მოხუცებულობაა. ბავშვების წესიერი აღზრდა—ეს ჩვენი მომავალი ბედნიერი მოხუცებულობაა, მათი ცუდი აღზრდა ჩვენი მომავალი სევდაა, ეს ჩვენი ცრემლია, ეს ჩვენი დანაშაულია ხალხის, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე“. („ლექციები ბავშვთა აღზრდის შესახებ“, მოსკოვი, 1950 წელი).

მაშასადამე, ბავშვთა აღზრდის საქმეში სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად პასუხისმგებელია მშობელიც. სავსებით მართალია სსრ კავშირის პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ცნობილი პედაგოგი პროფესორი ე. ა. არკინი, როდესაც წერს: „არ არიან მართალნი ის მშობლები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ამჟამად, როდესაც

ჩვენში შემოღებულია საყოველთაო-სავალდებულო სასკოლო სწავლება, როდესაც ყოველწლიურად ფართოვდება და იზრდება ბავშვთა ბაგების, საბავშვო ბაღების ქსელი, მშობლები შეიძლება განთავისუფლდნენ ბავშვის აღზრდის მოვალეობისაგან და ეს საქმე მთლიანად სახელმწიფოს გადაავალონ.

ასეთი შეხედულება არამც თუ სწორი არაა, არამედ მავნებელიცაა. არაა სწორი, რადგან ბავშვი უმრავლეს დროს ოჯახის პირობებში ატარებს. არაა სწორი ეს აზრი, რადგან იგი მშობლებში ანელებს მოვალეობის გრძნობას შვილების მიმართ, რომელთა მომავალზე პასუხისმგებელნი არიან საბჭოთა საზოგადოებისა და მთავრობის წინაშე. მშობლები ვალდებულნი არიან, რომ ბავშვი, რომელსაც სიცოცხლე მიანიჭეს, აღზარდონ საზოგადოების სრულფასოვან წევრად". („მშობლები და ბავშვთა აღზრდა," მოსკოვი. 1949 წელი).

ბავშვის სწორი აღზრდა კი იმასაც გულისხმობს, რომ ავაცილოთ მათ დაზიანება—ტრავმა, რამაც შესაძლებელია სამუდამოდ ინვალიდი გახადოს იგი.

მცირე ასაკში ბავშვთა ტრავმის შემთხვევათა გარკვეული პროცენტი მოდის იმ პერიოდზე, როდესაც 'ისინი სიარულს იწყებენ და ხშირად ეცემიან.

მამოძრავებელი აპარატის, განსაკუთრებით ქვედა კიდურებისა და კოორდინირებულ მოძრაობათა, სისუსტის გამო ბავშვის ორგანიზმი რყევას განიცდის ვერტიკალურ მდგომარეობაში ყოფნის დროს. მცირედი დაღლილობა, ან უსწორმასწორო ნიადაგი იწვევს ბავშვის დაცემას. ამიტომ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ საჭიროა ბავშვს შევუქმნათ უხიფათო გარემო, უნდა მოვარიდოთ ისეთი საგნები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის დაცემა და დაშავება.

ბავშვი შეიძლება დაზიანდეს აგრეთვე სრულიად სწორ ადგილზე წაქცევის დროსაც, მაგალითად, ოთახში, ეზოში თამაშის დროს და სხვ. ასეთ შემთხვევაში დაცემის მიზეზი შეიძლება იყოს მოპრიალებული იატაკი, სველი ბალახი, ფიჭვ-ნაძვნარში წიწვებით მოფენილი ნიადაგი, აგრეთვე იატაკზე დატოვებული სათამაშო ან რაიმე ნივთი, ეზოში დაყრილი თეფშის, მინის ან ბოთლის ნამსხვრევები და სხვ.

დაცემის დროს ბავშვმა შეიძლება სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღოს; ზოგიერთ შემთხვევაში ადგილი აქვს რბილი ქსოვილების ჭრილობას, ზოგჯერ კი—ძვლის მოტეხილობას და სხვ.

მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი.

12 წლის გოგონა ლალი ეთამაშებოდა თავის პატარა ძმას, დაეცა იატაკზე გაშლილ ხალიჩაზე და მუხლში შეესო ნემსი, რომელიც დედას დავარდნოდა ხელსაქმის დროს. საჭირო გახდა ოპერაციის გაკეთება სახსარში ჩატეხილი ნემსის ამოსაღებად.

11 წლის რუსიკო ეზოში, წყალსადენის ონკანთან, ეხმარებოდა დედას ჭურჭლის რეცხვაში, უეცრად დაუსრიალდა ფეხი და დაეცა შუშის ქილის ნატეხებზე. გოგონამ მიიღო ნერვის ჭრილობა, რის გამოც ბავშვს ტერფის დამბლა განუვითარდა.

2 წლის შალვა ოთახში დაეცა, სახე იატაკს დაარტყა, მიიღო მცირე ჭრილობა შუბლის არეში; ჭრილობაში პატეფონის ნემსი აღმოაჩნდა.

უნდა გვახსოვდეს, რომ სახიფათოა მცირეწლოვანი ბავშვის დატოვება ზედამხედველობის გარეშე ღია ფანჯარასთან ან აივანზე.

არის შემთხვევა, როდესაც პატარა ბავშვს ღია ფანჯრის რაფაზე დასვამენ. ყურადღების შენელებისას ანდა მოუხერხებელი მოულოდნელი მოძრაობის შედეგად იგი შეიძლება ჩამოვარდეს სიმაღლიდან და დაშავდეს.

მაგალითად, დედამ 2 წლის მანანა დასვა ღია ფანჯრის რაფაზე. ცოტა ხნის შემდეგ, მეზობლის დაძახებაზე, გავიდა ოთახიდან და 1—2 წუთის შემდეგ ისევ დაბრუნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო—მანანა ფანჯრიდან გადავარდა ეზოში, მოიტეხა მხრის ძვალი, მიიღო ტვინის მსუბუქი შერყევა.

ძეორე მაგალითი—3 წლის ელზა აცოცდა სკამზე, სკამიდან კი ღია ფანჯრის რაფაზე გადავიდა, გაჰყო ფანჯარაში თავი, ვერ შეიკავა სხეული და მეორე სართულიდან ეზოში გადავარდა. ბავშვმა მიიღო სხეულის მრავლობითი კანქვეშა სისხჩაქცევა და ტვინის შერყევა.

13 წლის გოგი ავიდა თუთის ხეზე. ტოტმა ვერ გაუძლო, მოტყდა და ბავშვი ძირს ჩამოვარდა. გოგიმ მიიღო თავის ტვი-

ნის შერყევა და ქალას ფუძის მოტეხილობა. კლინიკაში დაჰყო 35 დღე, მეცადინეობას ჩამორჩა და დარჩა იმავე კლასში მეორე წელს.

14 წლის თენგიზი მტკვარში ბანაობისას გადმოხტა სიმაღლიდან, დაეცა ქვებზე და მიიღო თავის ქალასა. და ბარძაყის მძიმე მოტეხილობა. საჭირო შეიქნა თავის ქალას ტრეპანაციის გაკეთება.

13 წლის ნუნუ, რომელსაც ხელში ეკავა თავისი 7 თვის და, იმდენად გაერთო ეზოში მოთამაშე ბავშვების ყურებით, რომ და ხელიდან გაუვარდა. ბავშვი დაგორდა აივნის კიბის საფეხურებზე. მას განუვითარდა სისხლის ჩაქცევა, დაჟეჟილობა და ტვინის შერყევა.

7 წლის კაკო კატას გაეკიდა. კატა აივნიდან სახურავზე გაიქცა, კაკო გაჰყვა მას, მაგრამ ვერ დაიჭირა, თვითონ კი დაბლა ჩამოვარდა. ბავშვმა მიიღო სხეულის დაჟეჟილობა, წინამხრის ძვლების მოტეხილობა და ტვინის შერყევა.

ყველა ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ბავშვების დაზიანება გამოწვეული იყო უზედამხედველობის შედეგად.

უნდა გვახსოვდეს, რომ მეთვალყურეობა და ყურადღება ესაჭიროება არა მხოლოდ მცირე და მოზარდი ასაკის ბავშვებს, არამედ შედარებით მოზრდილებსაც, რომლებიც ცელქობენ, უყვართ მაღალ ხეებზე ასვლა, მდინარეში ცურაობა და სხვ.

მარცხიანი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, რომ მშობლებმა გავლენა იქონიონ შვილებზე, ყურადღება მიაქციონ მათ ყოფაქცევას, განუვითარონ შეგნება, შეაჩვიონ ყოფაქცევის წესების დაცვას, დისციპლინას.

ამასთან, თვით მშობლებმაც და საერთოდ ოჯახის ყველა წევრმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ საოჯახო საქმიანობის დროს. დაგდებული ნემსი, დანა, ჩანგალი, მაკრატელი და სხვ. წვრილმანი საოჯახო ნივთები შეიძლება გახდეს პატარა ბავშვის დაშავების მიზეზი. ამიტომ ისინი უნდა ინახებოდეს ბავშვისათვის მიუწვდომელ ადგილას.

მცირეწლოვან ბავშვებს ჩვეულებად აქვთ ყველა საგნის პირში ჩადება. ამ მხრივ ისინი ვერავითარ განსხვავებას ვერ ნახულობენ საკვებსა და საგნებს შორის. ამიტომ ყველა საგანი, რომელსაც პატარა ბავშვს ვაძლევთ, გულმოდგინედ უნდა

იყოს გასუფთავებული, რადგან პირში ჩადების დროს მტვერ-
თან ერთად ბავშვის ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს სხვადა-
სხვა დაავადების გამომწვევი ბაქტერიები. მთავარია თვით
საგნის ზომა. პატარა ნივთები არავითარ შემთხვევაში არ უნდა
მივცეთ ბავშვს, რადგან ისინი ბავშვმა შეიძლება გადაყლაპოს,
ანდა მისდაუნებურად გადასცდეს სასუნთქ გზებში.

ბავშვთა ყოფაცხოვრებითი ტრავმის მიზეზს შეიძლება მი-
ეკუთვნოს აგრეთვე ჩხუბის ან წაქეზების შემთხვევები, მაგა-
ლითად:

11 წლის ლევანი წაეჩხუბა თავის ამხანაგს, რომელმაც
ქვა ესროლა და თავში მოახვედრა. ბავშვმა მიიღო თავის
ჭრილობა და ქალას მოტეხილობა.

13 წლის ავთანდილი მიუახლოვდა ამხანაგების ჯგუფს,
რომლებიც სანაგვე ყუთთან ფაციფუცობდნენ. ამხანაგებმა წა-
აქეზეს იგი, ყუთთან შეგროვილი ნაგვისათვის ცეცხლი მოეკი-
დებინა, ავთანდილმა გულუბრყვილოდ დაიჯერა ამხანაგების,
მიიტანა ანთებული ასანთი ქაღალდების გროვასთან. ამხანაგე-
ბი გაიფანტნენ და ბავშვი მარტო დატოვეს. ანთებული ქა-
ღალდის გროვა უცბად აფეთქდა, რადგან ბავშვებს თურმე ქა-
ღალდის ქვეშ თოფის წამალი ჩაეყარათ. ამ აფეთქებას მოყვა
ავთანდილის მძიმე დაშავება.

ასეთი შემთხვევების თავიდან აცილება შეიძლება, მაგრამ
ამისათვის საჭიროა, რომ სკოლამ და ოჯახმა თითოეულ ბავშვს
განუვითარონ კოლეგიალობისა და მეგობრობის გრძნობები,
თავიანთი საქციელის კრიტიკული შეფასების უნარი.

ბავშვებს ძლიერი ცნობისმოყვარეობა ახასიათებთ. ცხადია,
ეს დადებითი მოვლენაა, მაგრამ თუ აღნიშნული მისწრაფება
სწორად არ იქნა მიმართული, ამან შეიძლება ძალიან მავნე
შედეგი გამოიღოს.

მშობლებმა უნდა იცოდნენ, რომ თუ მათ თოფი ან სხვა
ცეცხლმსროლი იარაღი აქვთ, ისინი საიმედოდ დაცულ ადგი-
ლას უნდა იყოს შენახული, ხოლო ბავშვებს მტკიცედ უნდა
შევაგნებინოთ, რომ იარაღთან თამაში და მათთვის საერთოდ
ხელის მოკიდებაც კი ყოვლად დაუშვებელია.

გაუფრთხილებლობით მშობლები ზოგჯერ უყურადღებოდ,
ბავშვისათვის მისაწვდომ ადგილას სტოვებენ ნიშადურის

სპირტს, კაუსტიკური სოდის ხსნარს, ტუტეებისა და მჟავების ხსნარებს, სხვადასხვა ქიმიურ ნაერთებს, რომლებსაც იყენებენ თეთრეულის გასარეცხად, იატაკის მოსაწმენდად და ლითონის საოჯახო ნივთების დასაფერად. აღნიშნულ ქიმიურ ნაერთებს ინახავენ ბორჯომის ან ლიმონათის ბოთლებში ჩასხმულს, სამზარეულოში ან საოჯახო კარადაში. ასეთ შემთხვევაში, თუ ბოთლები ადვილად მისაწვდომ ადგილასაა მოთავსებული, შეიძლება ბავშვმა შეცდომით დალიოს რომელიმე აღნიშნული სითხე და მიიღოს შინაგანი დამწვრობა, მაგალითად, ყოფილა შემთხვევა, როდესაც კაუსტიკური სოდა, ფერით მსგავსების გამო, შეცდომით ჩაუთვლიათ რძედ და დაულევიათ.

საოჯახო საქმიანობაში გამოსაყენებელი ან სხვა ქიმიური ნაერთები უნდა ინახებოდეს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილას და მათ ჭურჭლებს აუცილებლად უნდა გაუკეთდეს სათანადო წარწერა.

ცნობილია, რომ ბავშვები ცოდნის მოყვარენი არიან. ისინი ხარბად ითვისებენ ყოველივე ახალს, იმეორებენ უფროსების ქცევას, თამაშში ბაძავენ მათ. ამიტომ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ ბავშვისათვის მაგალითის მიცემას. ამ მხრივ ბევრი შეიძლება ითქვას კინო-ფილმების შესახებ. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ბავშვებმა განურჩევლად ნახონ ყველგვარი კინო-სურათი. ცნობილია, თუ რა მავნე გავლენა მოახდინა ბავშვებზე საზღვარგარეთულმა კინო-სურათებმა, როგორიცაა, მაგალითად, „ტარზანი," „სამი მუშკეტერი", „საიდუმლო ნიშანი", „ფანფან ტულპანი" და სხვ. იყო შემთხვევები კინო-ფილმ „ტარზანის" ნახვის შემდეგ ბავშვების დაშავებისა ხიდან გადმოხტომის ან წყალში ჩახტომის შედეგად.

ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, მრავლად გამოდის საბავშვო კინო-ფილმები, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვის სწორ აღზრდას. ამიტომ ეს საშუალება უნდა გამოვიყენოთ არა მარტო გართობის, არამედ აღზრდის მიზნითაც. საერთოდ, კი კინო-ფილმის თუ სხვა სანახაობის ნახვის შემდეგ ბავშვს უნდა დავეხმაროთ სწორად გაიგოს მისი შინაარსი, მორალი, ისწავლოს კარგისა და ცუდის

გარჩევა. ამ გზით მას უნდა გამოვუმუშავოთ უნარი კრიტიკულად აითვისოს მოვლენები, გამოჰყოს მათგან მისაბაძი და დასაგმობი. ამ მხრივ გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლიათ პიონერულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომელთა ძირითად ამოცანას შეადგენს ბავშვის სწორი აღზრდა.

ყოფაცხოვრებითი ხასიათის ტრავმის შემთხვევათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია დამწვრობას. დამწვრობა განსაკუთრებით ხშირად გვხვდება მცირე ასაკის ბავშვებში და თითქმის თანაბარი რაოდენობით როგორც ვაჟებში, ისე გოგონათა შორის. დამწვრობა მძიმე დაშავებაა, რომელსაც ხშირად სხვადასხვა გართულება და ზოგჯერ სიკვდილიც მოსდევს. მკურნალობისათვის ხანგრძლივი დროა საჭირო, იგი მოითხოვს საავადმყოფოში დიდი ხნით წოლას და რთული პროცედურის ჩატარებას, როგორიც არის სისხლის გადასხმა, ფიზიომკურნალობა, კანის გადანერგვა და სხვ.

ომის შემდგომ წლებში დამწვრობის მკურნალობისათვის ფართოდ გამოიყენება მკურნალობის ღია წესები, სულფამიდური პრეპარატები, პენიცილინი, სისხლის გადასხმა და სხვ. თუ ომამდელ წლებში დამწვრობისაგან სიკვდილობა, ჩვენი მასალის მიხედვით, აღწევდა შემთხვევათა 20,5%, უკანასკნელ წლებში იგი შემცირდა 4—5%-მდე.

დამწვრობა შეიძლება გამოწვეულ იქნეს თერმული მიზეზით (ცეცხლი), ქიმიური ნივთიერებით (მჟავები, ტუტეები) და ელექტროდენით.

ბავშვებში ყველაზე ხშირია თერმული დამწვრობის შემთხვევები. თერმული დამწვრობა შეიძლება სხვადასხვა სიმძიმის იყოს. მსუბუქ დამწვრობას ამბულატორიულად მკურნალობენ, მძიმეს კი—საავადმყოფოში.

დამწვრობას უმრავლეს შემთხვევაში ადგილი აქვს წლის ცივ თვეებში, როდესაც ბავშვები უმეტეს დროს ოთახში ატარებენ. არის შემთხვევები, როდესაც უფროსები უყურადღებოდ სტოვებენ ანთებულ ღუმელს, ნავთქურას, ელექტროჯოხს და სხვ. ამის შედეგად კი არაიშვიათია ბავშვის დამწვრობა გაუფრთხილებლობის ნიადაგზე. ბავშვის დამწვრობის, ისე როგორც საერთოდ ყველა სახის დაზიანების, ახსნა შემთხვევითობით არ შეიძლება. იგი ყოველთვის შეგვიძლია ა�ი-

ეროვნული ბიბლიოთეკა
I-8117

ცილოთ თავიდან, თუ მტკიცედ გვემახსოვრება სიფრთხილის აუცილებლობის შესახებ. ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე მაგალითი, საიდანაც ჩანს, თუ რა მძიმე შედეგი შეიძლება მოყვეს უყურადღებობას ბავშვის მიმართ.

2½ წლის გოგონა, როდესაც მისი დედა სამზარეულოდან გავიდა, მივიდა ნავთქურასთან, რომელიც იატაკზე იდგა, გადააბრუნა მასზე მდგარი წვნიანით სავსე ქვაბი და მიიღო გულმკერდის, მუცლისა და ბარძაყების წინა ზედაპირის ვრცელი დამწვრობა.

სხვა შემთხვევაში—დედას სამზარეულოდან მოჰქონდა ცხელი რძე. როდესაც ოთახში შევიდა, მას ფეხებში შეეჩეხა 3 წლის შვილი, რომელსაც უცაბედად გადაასხა რძე.

10 წლის ბიჭუნა ამხანაგებთან ერთად თამაშობდა ასანთით, რომელიც მისთვის მოულოდნელად აინთო და ტანსაცმელს ცეცხლი მოეკიდა. ბავშვმა მიიღო სხეულის ვრცელი დამწვრობა.

ეს შემთხვევები ნათლად გვიჩვენებს, რომ მშობლებს განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე მართებთ, როდესაც ბავშვები სახლში იმყოფებიან.

როგორი დატვირთულიც არ უნდა ვიყოთ საოჯახო საქმეებით, ბავშვებზე ზედამხედველობა არ უნდა შევანელოთ.

ბრძოლა ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ

ბავშვთა შორის ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი პირობაა ბავშვის სწორი აღზრდა, მისი შეგნების განვითარება, დისციპლინის დანერგვა.

ბავშვის აღზრდა, მისი პიროვნების ფორმირება ძირითადად სკოლასა და ოჯახში ხდება. ამიტომ არის აუცილებელი მშობლებისა და პედაგოგების აღმზრდელობითი საქმიანობის კიდევ უფრო მჭიდროდ დაკავშირება ერთმანეთთან.

საბჭოთა ბავშვი ჩვენი სამშობლოს ხვალინდელი მოქალაქე და მშენებელია. ამ საპატიო მოვალეობის შესრულებისათვის მას სათანადო ცოდნა უნდა მივცეთ. ამასთან, იგი ფიზიკურად ჯანსაღი უნდა იყოს. სრულასაკოვნების მიღწევამდე იგი სკოლისა და ოჯახის სისტემატური მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იმყოფებოდეს.

ჩვენს ქვეყანაში ახალგაზრდობის აღზრდის საქმე მთელი საზოგადოებრიობის ამოცანას წარმოადგენს. სოციალისტური ქვეყნის ახალგაზრდა მოქალაქის აღზრდა კეთილშობილური საქმეა, რომელსაც მთელი ძალ-ღონე უნდა მოახმაროს სკოლამ და ოჯახმა, მთელმა საზოგადოებრიობამ.

ბავშვთა აღზრდის საქმე არა მარტო სკოლისა და ოჯახის საქმეა, იგი სახელმწიფოს მზრუნველობისა და მთელი საზოგადოების საქმეა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ამ~~ბ. ნ. ს. ხრუშჩოვმ~~ა განაცხადა: „რა თქმა უნდა, ოჯახი და სკოლა ბავშვთა სოციალისტური აღზრდის უმნიშვნელოვანესი კერები იყო და არის... სოციალისტურ ქვეყანას შეუძლია დააყენოს და კიდევაც უნდა დააყენოს ბავშვთა აღზრდის საქმე გაცილებით უკეთ და სრულყოფილად, რადგან ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ არა ხალხის უაღრესად მტრული, არისტოკრატიული კასტური ფენა, არამედ ახალი საზოგადოების მშენებელი, დიდი სულისა და მაღალი იდეალების ადამიანები, რომლებიც თავდადებით ემსახურებიან თავიანთ ხალხს, რომელიც მთელი კაცობრიობის ავანგარდია.

ბავშვებისათვის, მათი აღზრდისათვის ზრუნვა მთელი ხალხის საქმეა. ჩვენი საბჭოთა საზოგადოება კვლავ განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობს მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდის საქმეს.“

ბავშვთა ტრავმატიზმთან წარმატებით ბრძოლისათვის საჭიროა მჭიდრო და სისტემატური კონტაქტი სკოლასა და მშობლებს შორის. სკოლის მუშაკებმა—პედაგოგებმა, სკოლის ექიმებმა თავიანთ მუშაობაში გარკვეული ადგილი უნდა დაუთმონ ამ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. სხვა აღმზრდელობით საკითხებთან ერთად მშობლებს სისტემატურად უნდა ჩაუტარდეთ ლექციები, საუბრები ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე. ეს საუბრები უნდა იყოს დამაჯერებელი, სათანადო მაგალითებით ილუსტრირებული. უნდა მოვისმინოთ მშობლების აზრიც ამ საკითხზე.

მეორე მხრივ, პედაგოგები სისტემატურად უნდა განუმარტავდნენ მოსწავლეებს, თუ რამდენად სახიფათოა ქუჩაში თამაში და ცელქობა, რა მავნე შედეგები შეიძლება მოყვეს ამას.

ბავშვს მტკიცედ უნდა შეეასწავლოთ ქუჩაში მოძრაობის წესები. მან უნდა იცოდეს, რომ არ შეიძლება ტრამვაის ვაგონის მოვლა უკანა მხრიდან, რომ ქუჩაზე გადასვლა შეიძლება მხოლოდ ამისათვის განკუთვნილ ადგილებზე, რომ გადასვლისას საჭიროა ჯერ მარცხნივ, შემდეგ კი მარჯვნივ გახედვა. მათ უნდა იცოდნენ შუქნიშნების ცნობა და სხვ.

ჩვენი ბავშვები დიდ პატივს სცემენ მამაცი საბჭოთა მფრინავების, ტანკისტების, მეზღვაურების გმირობას და ოცნებობენ, რომ თითონაც ასეთივე სახელმოხვეჭილი გმირები გახდნენ, ჩაიდინონ რაიმე მამაცობა, მოიპოვონ უშიშარის სახელი და დიდება. ასეთი ოცნებებით აღტაცებულნი... ისინი ახტებიან ტრამვაის მისი სვლის დროს, გადარბიან ქუჩაზე გაქანებული მანქანის წინ და სხვ.

მშობლები და მასწავლებლები ყოველდღიურად უნდა განუმარტავდნენ და შთააგონებდნენ ბავშვებს, თუ რა მავნე და ყალბია ასეთი „გმირობა“, რამდენად სახიფათოა ქუჩაში თამაში და ცელქობა. ჩვენი ეპოქის დიდი მფრინავი ვ. პ. ჩკალოვი „პიონერსკაია პრავდაში“ (1938 წ. 25 იანვარი) წერდა: „ჩვენს სამშობლოს სჭირდება მამაცი ხალხი, მაგრამ სიმამაცე არ აღიზრდება ტრამვაის საფეხურზე, ამისათვის სხვა უფრო კარგი საშუალებები არსებობს. დავეუფლოთ სპორტს, სროლას, ცურვას, ხტომას. ტრამვაის საფეხურები კი ინვალიდობამდე მიგვიყვანს და არა გმირობამდე“.

მოძრაობისადმი ბავშვის ორგანიზმის კუნთური სისტემის ბუნებრივი, ფიზიოლოგიური მიდრეკილება უნდა წარვმართოთ ფიზკულტურული თამაშობების, უფროს ასაკში კი— სპორტული ვარჯიშების ხაზით. ფართოდ უნდა გაიშალოს ფიზკულტურული კუთხე-მოედნების მოწყობა ეზოებში.

ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ სპორტული ვარჯიშები აუცილებლად ზედამხედველობის ქვეშ უნდა ტარდებოდეს.

ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვის საქმეში ბავშვთა შორის ნაყოფიერი მუშაობის ჩატარების დიდი შესაძლებლობები აქვს სასკოლო პიონერულ ორგანიზაციებს. რაზმებისა და რგოლების შეკრებებზე უნდა ტარდებოდეს საუბრები ამ საკითხებზე, უნდა გამოვლინდნენ ქუჩაში მოძრაობის წესრიგის

დამრღვევნი, მოეწყოს მათი უდისციპლინობის გარჩევა და სხვ.

ბევრის გაკეთება შეუძლია ამ მხრივ სკოლის კომკავშირულ ორგანიზაციას, აქტიური კომკავშირლების, განსაკუთრებით უფროსი კლასის მოსწავლეების დახმარებით. მათგან შეიძლება გამოიყონ მორიგეები, რომლებიც თვალყურს უნდა ადევნებდნენ წესრიგის დამრღვევებს არა მარტო სკოლაში, არამედ საზოგადოებრივ-საკრებულო ადგილებში, ქუჩებში.

ნ. კ. კრუპსკაია თავის წერილში პიონერებისა და მოსწავლეებისადმი („შეგნებული დისციპლინის შესახებ") წერდა: „ბავშვებო, განამტკიცეთ პიონერული ორგანიზაცია, ბავშვთა ნებაყოფლობითი საზოგადოებები—ეს არის სწორი გზა დისციპლინის განმტკიცებისათვის, ყოველგვარი უაზრო საქციელის აღმოფხვრისათვის."

ადამიანი საბჭოთა კავშირში ყველაზე ძვირფასს განძს წარმოადგენს. ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, მისი შრომისუნარიანობის შენარჩუნება პარტიისა და მთავრობის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ამიტომ ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაეთმოს პროფილაქტიკურ ღონისძიებათა სისტემაში.

საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც, სანიტგანმანათლებელ და პროფილაქტიკურ მუშაობას ბავშვთა ტრავმატიზმის შესამცირებლად ატარებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების კომუნალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებები. ფართოდ აწარმოებენ ახსნა-განმარტებით სანიტგანმანათლებელ მუშაობას აგრეთვე წითელი ჯვრის საზოგადოებათა ბავშვთა ტრავმატიზმთან ბრძოლის კომიტეტები. ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას იღებენ აგრეთვე მილიციის, განათლების, სოცუზრუნველყოფის ორგანოების მუშაკები.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1932 წლის 16 მაისის სპეციალური დადგენილების თანახმად, საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში—მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში, თბილისში და სხვ. წარმოებს ქუჩის ტრავმული შემთხვევების აუცილებელი რეგისტრაცია. ამ მასალის შესწავლას მარცხიანი შემთხვევების ლიკვიდაციისათვის სათანადო ღონისძიებების გამომუშა-

ვების მიზნით აწარმოებენ მილიციის ქუჩაში მოძრაობის რეგულაციის განყოფილებები. ამიტომ ყოველმხრივ უნდა დავეხმაროთ მათ არა მარტო ტრავმის შემთხვევათა თავიდან აცილების საქმეში, არამედ ტრავმის მიზეზების დადგენაშიც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქუჩის, განსაკუთრებით ქვაფენილების, სისუფთავე, მათი წესივრული მდგომარეობა ხელს უწყობს ტრავმულ შემთხვევათა შემცირებას. ამიტომ ყოველმა მოქალაქემ, მათ შორის ბავშვებმაც, უნდა დაიცვან ქუჩაში სისუფთავე. ქუჩა სისტემატურად უნდა იგვებოდეს, უნდა სუფთავდებოდეს ხილის კურკებისა, ქერქისა და სხვ. უსუფთაობისაგან. ზამთარში ქუჩის ქვაფენილები ხშირად დაფარულია თოვლით, ყინულით, ეს ხელს უწყობს ტრავმულ შემთხვევებს. ამიტომ აუცილებელია დროულად და სისტემატურად გაიწმინდოს ის თოვლისა და ყინულისაგან და მოეყაროს ნაცარი ან ნახერხი.

ზემოაღნიშნული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქუჩაში დაშავების შემთხვევათა შემცირებას.

ბავშვთა ქუჩის ტრავმატიზმთან ბრძოლის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის 31/V ისტორიულ დადგენილებას უპატრონო და უზედამხედველო ბავშვთა მოვლის შესახებ.

1948 წელს გამოქვეყნდა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ბრძანება, რომელიც ითვალისწინებს ღონისძიებებს ბავშვთა შორის ტრავმულ შემთხვევათა ასაცილებლად და დაშავებულთათვის სამკურნალო ღონისძიებების გასაუმჯობესებლად. ამის შესაბამისად სათანადო ბრძანება გამოაქვეყნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ. არსებობს აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის სამინისტროების ერთობლივი ბრძანება, სადაც გათვალისწინებულია ღონისძიებები ინვალიდ ბავშვთა პროთეზირებისათვის.

საჭიროა უზრუნველყოფილ იქნეს ქუჩაში დაშავებულთათვის პირველი სასწრაფო საექიმო დახმარება. ამ მიზნით მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა დიდი ქალაქების მსგავსად, იმ ადგილებში, სადაც დიდი მოძრაობაა, უნდა მოეწყოს დახმა-

რების პავილიონები, ანდა საგუშაგოზე მყოფი მილიციელები მომარაგდნენ სასწრაფო დახმარების ჩანთებით ან ყუთებით, რომელშიც იქნება სისხლდენის შესაჩერებელი ლახტი, ინდივიდუალური პაკეტი, მარლის ბანდი და პირველი დახმარებისათვის სხვა საჭირო სამუალებანი. ისე როგორც ეს ხდება მოსკოვში, ლენინგრადში, ხარკოვში და სხვა ქალაქებში, ჩვენი რესპ-უბლიკის ქალაქების მილიციელებს, ქუჩაში მოძრაობის მომწესრიგებლებს, ტრამვაი-ტროლეიბუსებისა და ავტომანქანების მძღოლებს, კონდუქტორებს უნდა შევასწავლოთ დაშავებულთათვის პირველი დახმარების აღმოჩენის წესები..

პირველი საექიმო დახმარების კარგი ორგანიზაცია შეამცირებს დაშავების შედეგად სიკვდილის შემთხვევებს.

ღონისძიებანი ბავშვთა ქუჩისა და ყოფაცხოვრებითი ტრავმის მოსპობისათვის უნდა ტარდებოდეს სისტემატურად და არა პერიოდულად, სეზონურად. ბავშვთა ტრავმატიზმთან ბრძოლა ნიშნავს ახალგაზრდა თაობისათვის სიცოცხლისა და ძალის შენარჩუნებას. ამ ბრძოლაში უნდა ჩაებას ყველა ოჯახი, სამედიცინო დაწესებულებანი, წარმოება-დაწესებულებები, საბჭოთა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები—მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა, ვინაიდან მხოლოდ მთელი მოსახლეობის ფართო ინიციატივით შეიძლება ბავშვთა ტრავმატიზმის მინიმუმამდე დაყვანა.

პირველი დახმარება ტრავმული შემთხვევების დროს

დამატების სახით მოგვყავს ტრავმული დაზიანების შემთხვევაში პირველი დახმარების ზოგიერთი წესი, რომელთა ცოდნა აუცილებელია ყველასათვის.

ბავშვის დ ა ც ე მ ი ს ან სიმაღლიდან გ ა დ მ ო ვ ა რ დ ნ ი ს შემთხვევაში არაიშვიათია ტ ვ ი ნ ი ს შ ე რ ყ ე ვ ა. ამ დროს აღინიშნება გულისრევა, პირღებინება, ცნობიერების დაკარგვა და მძინარობა.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა. დაშავებული უნდა დავაწვინოთ ლოგინში და მშვიდი გარემო შევუქმნათ. თავზე უნდა დავადოთ ბუშტი ყინულით ან ცივი წყლით. პირღებინების შემთხვევაში არ შეიძლება წყლის დალევინება, რადგან ეს კიდევ უფრო გააძლიე-

რებს გულისრევას. თუ ბავშვს ძინავს, არ უნდა გავაღვიძოთ, რადგან ტვინის შერყევის დროს მშვიდი ძილი განკურნების ერთ-ერთი პირობაა.

ჩვილი ასაკის ბავშვებში ხშირია აგრეთვე **დ ა მ წ ვ რ ო ბ ა**. დამწვრობის მიღების დროს ბავშვი ძლიერ ტირის, მაგრამ თუ დაზიანებულია სხეულის დიდი ფართობი, მაშინ იგი ნაკლებად ან სრულიად არ ტირის. ძლიერი ტკივილის დროს ნერვული სისტემა დაძაბულია, ბავშვს შეიძლება განუვითარდეს შოკი, რაც მეტად მძიმე მოვლენაა.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა. დამწვრობის შემთხვევაში პირველ რიგში: სხეულის დაზიანებული ადგილები უნდა გავანთავისუფლოთ ტანსაცმლისაგან. თუ დამწვრობა მცირე ფართობისაა, დაზიანებულ ადგილზე უნდა დაედოს მანგანუმის მჟავას ძლიერ ხსნარში დასველებული მარლის საფენები და დაედოს ნახვევი. ვრცელი დამწვრობის დროს დაზიანებულს უნდა გადავაფაროთ სუფთა ზეწარი და სასწრაფოდ წავიყვანოთ საავადმყოფოში.

დაუშვებელია დამწვარ ზედაპირზე მელნის დასხმა, ჭვარტლიანი აბლაბუდას დადება და სხვა ისეთი ღონისძიებების გატარება, რაც გამოიწვევს დაზიანებული ადგილის დაბინძურებას. სანამ დაშავებულს კვალიფიციურ საექიმო დახმარებას აღმოვუჩენდეთ, მთავარია დაზიანებული ადგილის სუფთად დაცვა. ამ მიზნით მოწოდებულია კალიუმის პერმანგანატის ხსნარში დასველებული საფენები.

ბავშვს შემთხვევით შეიძლება **გ ა დ ა ც დ ე ს** **ს ა ყ ლ ა პ ა ვ ში** სხვადასხვა უცხო სხეული, მაგალითად, ფოლაქი, ხილის კურკა, მძივი, ფული, ლურსმანი ან სხვა რაიმე პატარა ნივთი. საყლაპავ მილში გაჩხერილი მცირე ზომის საგანი არ იწვევს რაიმე გართულებას ამ ორგანოს მხრივ, თუ თხიერი საკვების მიღების შედეგად იგი ადვილად გაივლის საყლაპავს. საშიშია, როდესაც საგანი ხანგრძლივად, რამდენიმე დღე რჩება საყლაპავ მილში, რადგან ამან ზეწოლის შედეგად შეიძლება გამოიწვიოს მილის კედლის დაზიანება, ანთება, დაწყლულება და სხვა გართულება, რასაც ზოგჯერ სიკვდილიც კი მოსდევს.

გარეშე სხეული (მაგალითად, მზისუმზირას მარცვალი ან ხილის კურკა) ზოგჯერ შეიძლება მოხვდეს **ს ა ს უ ნ თ ქ**



გ ზ ე ბ შ ი. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს ხველას, სუნთქვის შეფერხებას, რამაც შეიძლება ბავშვის დახრჩობა გამოიწვიოს.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა. თუ ბავშვს გადასცდა რაიმე უცხო სხეული და იგი საყლაპავში გაეჩხირა, უნდა მიეცეს ფაფეული საკვები და სასწრაფოდ მოთავსებულ იქნეს საავადმყოფოში.

იმ შემთხვევაში, თუ ბავშვმა გადაყლაპა ნემსი, ლითონის ფული, ლურსმანი და სხვ., ეძლევა კარტოფილის პიურე, ბრინჯის ფაფა და სხვ. ფაფისებური საკვები.

სასუნთქ გზებში უცხო სხეულის მოხვედრისას ბავშვი სასწრაფოდ უნდა მოვათავსოთ საავადმყოფოში.

თუ ბავშვმა შემთხვევით მიიღო ქ ი მ ი უ რ ი ხ ს ნ ა რ ი, ეს გამოიწვევს პირის ღრუსა და საყლაპავის დამწვრობას, რასაც ზოგიერთ შემთხვევაში მძიმე შედეგები მოსდევს.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა. ბავშვს სასწრაფოდ უნდა ჩავაყლაპოთ უმი კვერცხები, დავალევინოთ რძე, საჭმლის ზეთი, თევზის ქონი, გამთბარი ერბო, გამდნარი კარაქი. დაუყოვნებლივ უნდა მივმართოთ კვალიფიციურ დახმარებას საავადმყოფოში.

თამაშის დროს რაიმე მყარი საგნის მოხვედრით ან დაცემისას ბავშვმა შეიძლება მიიღოს დ ა ჟ ე ჟ ი ლ ო ბ ა. ამ დროს ადგილი აქვს ადგილობრივ სისხლჩაქცევებს, შესიებას, მტკივნეულობას და სხვ.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა. დაზიანებული ადგილი უმოძრაო მდგომარეობაში უნდა იყოს, ზედ უნდა დაედოს ბუშტი ცივი წყლით ან ყინულით ანდა ცივი საფენები. ვრცელი დაზიანების შემთხვევაში ბავშვს უნდა აღმოვუჩინოთ კვალიფიციური საექიმო დახმარება.

თუ ბავშვმა წაქცევისას ი ღ რ ძ ო კიდური, ეს უკანასკნელი უნდა მოთავსდეს არტაშანში. ბავშვი უნდა იწვეს მშვიდ მდგომარეობაში, უმოძრაოდ. დაზიანებულ ადგილზე პირველ დღეს ადებენ ცივ საფენებს, მეორე-მესამე დღიდან ხმარობენ სითბურ კომპრესს, შემდეგში კი უკეთებენ თბილ აბაზანებს.

როდესაც ბავშვი იღრძობს სახსარს ან მიიღებს კიდურის ძვლის მ ო ტ ე ხ ი ლ ო ბ ა ს, დაზიანებულ ადგილას უნდა დაედოს უძრავი ნახვევი არტაშანით (ფიცრის, ყავრის, ფირფიცრის, სქელი მუყაოსი და სხვ.) და სასწრაფოდ უნდა მივმართოთ სამკურნალო დაწესებულებას. მოტეხილობა უმრავლეს

შემთხვევაში დახურულია, ე. ი. შენარჩუნებულია კანის საფარის მთლიანობა. ღია მოტეხილობა გვაქვს მაშინ, როდესაც გატეხილი ძვლის ბოლოები შიგნითა მხრიდან დაარღვევს კანის მთლიანობას და შექმნის ჭრილობას. ღია მოტეხილობას იწვევს აგრეთვე ცეცხლმსროლი იარაღი და სხვ.

დ ა ხ მ ა რ ე ბ ა. დახურული მოტეხილობის დროს საჭიროა უძრავი ნახვევის დადება და სამკურნალო დაწესებულებაში კვალიფიციური დახმარების მიღება.

ღია მოტეხილობის შემთხვევაში ჭრილობის კიდეებს უნდა წაესვას იოდის 5—10% ნაყენი, დაედოს ნახვევი. ავადმყოფი უძრავ მდგომარეობაში უნდა მოთავსდეს და სასწრაფოდ წაყვანილ იქნეს საავადმყოფოში.

დაშავების დროს ხშირია ცნ ობ ი ერ ებ ის დ ა კ ა რ გ ვ ა, გულის წასვლა. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ვასუნთქებინოთ ნიშადურის სპირტით, ცივი წყლით დავუზილოთ ყურები, შუბლის არე, მივაღებინოთ ვალერიანის წვეთები, კანქვეშ— ქაფური, კოფეინი და სხვ.

კ ა ნ ის გ ა კ ა წ ვ რ ი ს ა ს დაზიანებული ადგილი უნდა დამუშავდეს სპირტით ან იოდის ნაყენით. ჭრილობიდან ს ი ს ხ ლ დ ე ნ ის შემთხვევაში საჭიროა სუფთა ბამბით მოწმენდა, იოდის ნაყენით დამუშავება და შეხვევა. კარგია სისხლდენის შემაჩერებელი ბამბის ხმარება. ძლიერი სისხლდენის დროს, თუ ჭრილობა მიყენებულია კიდურზე, უნდა დაედოს ლახტი ჭრილობის ზემოთ და მივმართოთ ექიმს.

ცხვირიდან სისხლდენის დროს მოწოდებულია ცივი საფენები თავზე, წყალბადის ზეჟანგში დასველებული ბამბის ბურთულის გაკეთება ცხვირის ნესტოში.

საჭიროა ვიცოდეთ აგრეთვე პირველი დახმარების აღმოჩენა ქვეწარმავლების მიერ დ ა კ ბ ე ნ ის შემთხვევაში. როდესაც ბავშვს დაკბენის შემთხვევაში განუვითარდება მოწამვლის მოვლენები, მას აღენიშნება ნაკბენი ადგილის შეშუპება და ტკივილი, მთქნარება, ძილიანობა, საერთო სისუსტე, პირღებინება, კრუნჩხვები.

თუ გველმა უკბინა ხელზე ან ფეხზე, იმ წამსვე უნდა გადაეჭიროს ლახტი ნაკბენის ზემოთ. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ლახტის დადება ერთნახევარ საათზე მეტი ხნით არ შეიძ-

ლება. მოწოდებულია ნაკბენ ადგილზე კოტოშის დადება. თუ კოტოში არა გვაქვს, შეიძლება ვიხმაროთ ჭიქა. ზოგიერთი გვირჩევს ნაკბენი ადგილის ამოწუწვნას, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ დახმარების აღმომჩენს არა აქვს დაზიანებული პირის ლორწოვანი გარსი ან გაფუჭებული კბილი. შემდეგ ჭრილობის კიდეები უნდა დამუშავდეს იოდის ნაყენით. თუ პროცესი სწრაფად მიმდინარეობს, ე. ი. ნაკბენი ადგილი ძალიან მალე შეშუპდება, საჩქაროდ უნდა მივმართოთ ექიმს.

მორიელის მიერ დაკბენილი ადგილი უნდა დაიზილოს ნიშადურის სპირტით და ზედ დაედოს პერმანგანატის ხსნარში ან ნიშადურის სპირტში დასველებული საფენები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბავშვთა ტრავმატიზმი და მასთან ბრძოლა 3

ქუჩის ტრავმატიზმი 5

ყოფაცხოვრებითი ტრავმატიზმი 10

ბრძოლა ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ 19

პირველი დახმარება ტრავმული შემთხვევების დროს . . 24

ფასი 40 კაპ.

Михаил Иванович КОКОЧАШВИЛИ

ДЕТСКИЙ ТРАВМАТИЗМ И БОРЬБА С НИМ

(На грузинском языке)

Грузмедгиз
Тбилиси
1956